№ 64 კვირა, 21 მარტი 1910 წ. № 64

# დროება

ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან—საშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ქანის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი—ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ფას—„თეთრი კვირა“—დაკლებით.

ფას—„თეთრი კვირა“—დაკლებით.

ფას—„თ ე თ რ ი კ ვ ი რ ა“—დაკლებით.

22, 23, 24, 25, 26, 27 მარტს. „თეთრი კვირა“ მეტად ფას დაკლებით

წვრილ ვაჭრობის განყოფილება

## გ. მ. ჩილინგაროვისა

სასახლის ქუჩა.

| საზღვარ-გარეთის ბლუზები: | | საზღვარ-გარეთის იუბკები: | |
|---|---|---|---|
| ბატისტისა | 3 მ. 75 კაპ.-დან | ქვეშითა იუბკა ბატისტისა | 5 მ. 75 კაპ.-დან |
| არშიებისა | 5 მ. 50 კაპ.-დან | აბრეშუმისა | 7 მ. 75 კაპ.-დან |
| აბრეშუმისა | 6 მ. 75 კაპ.-დან | ალპაგა | 2 მ. 35 კაპ.-დან |
| **ქალის საზღვარ-გარეთის ტანისამოსი:** | | **ზედა იუბკები:** | |
| ბატისტისა | 12 მანეთიდან | შალისა | 4 მ. 75 კაპ.-დან |
| აბრეშუმის პანქისა | 19 მანეთიდან | პიკისა | 5 მ. 75 კაპ.-დან |
| ტიულისა | 20 მანეთიდან | ტილოსი | 3 მ. 75 კაპ.-დან |

იყიდება აგრეთვე შარფები, აბგები, ქოლგები, ქამრები, წინდები, ხელთათმანები, ხელცახოცები, სირაქლემას ბოა, მარაბო, ჟაკეტები კრუჟოვისა და მოქსოვილი, სანგალის კრუჟოვებით ნაკერი, ბატისტის კუპონები ბლუზებზე, ქალის თეთრეული. ყველა ეს საქონელი პარიზის ახალ სეზონისაა.

ფასი შესამჩნევად დაკლებულია. ტელეფონი № 850. (2—1048—1)

ფას—„თ ე თ რ ი კ ვ ი რ ა“—დაკლებით.

## ქართული თეატრი

შაბათს, 27 მარტს, 1910 წელს

### გრიგოლ რობაქიძე

წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციას ამ თემაზე

### „რელიგია მშვენიერებისა“

(მეხაზებ ოსკარ უაილდის შემოქმედებისა)

პ რ ო გ რ ა მ ა ლ ე ქ ც ი ი ს ა:

შესავალი.—ცხოვრება და შემოქმედება.—სიყვარული და უკვდავება.—მხატვრული სახე, როგორც სიმბოლო უკვდავისა და მარადისა.—უაილდის ესთეტიური თეორია.—ზღაპრები უაილდისა.—დრამა „სალომე“ (სიყვარული და სიკვდილი).—რომანი „დორიან გრეი“ (ტრაგედია მშვენიერი სიცოცხლისა).—სულიერი დრამა უაილდისა. (თხზულება „De profundis“) მნიშვნელობა უაილდისა.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე. (3—6.—1)

## სახაზინო თეატრი

სამშაბათს, 23 მარტს, საღამოს 8 საათზე პეტერბურგელი ლიტერატორი და ლექტორი

### ნ. ი. აბრამოვიჩი

წაიკითხავს პირველ ლექციას

### „თვითმკვლელობაზე“

(თანამედროვე ცხოვრებისა და სულის პსიხოლოგიიდან)

ეს ლექცია რამდენჯერმე წაკითხული მოსკოვსა, პეტერბურგსა და ნიჟნი-ნოვგოროდში და ყოველთვის დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა.

ადგილების ფასი ძალზე დაკლებულია.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (2—6.—1)

—◀ ს რ უ ლ ი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა ▶—

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე

### „ფეხსაცმელების სახელოსნო“

გვაქვს მზად მეკერილი ფეხსაცმლები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის საკუთარი ნამუშავარი—შევროსი, ხრომისა და სხვა მასალისა, აგრეთვე ვკერავთ შეკვეთით ხუფთად, იაფად და დანიშნულ ვადაზედ. საქმის სიკარგისათვის ვკისრულობ სრულ პასუხის მგებლობას.

ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა N 28.

პატივისცემით ივ. სვ. ბერძნიშვილი.

—◀ ს რ უ ლ ი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა ▶— (25—6.—10)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ. დ. ბას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღლაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., დღე, 9—11 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ ს. თვალის, ორშ., [illegible] პარასკ. 2 2-ნახ. ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე

პაპოვი გ. ა. ქურ., ყელის და ცხვირ., ყოველ დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოვ.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—137)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—300)

**ექიმი** სპეციალისტი ქ. ქუთაისში **გ. დ. ბეთანოვი**

მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქის და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—19)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—128)

დაიბეჭდა და იყიდება ქართულ ენაზე ჰერგარტ ჰაუპტმანის ცნობილი დრამა

### ფეიქრები

თარ. ივ. ახალშენიშვილის მიერ

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და მ კოგანის კრიტიკული განხილვა. ეს დრამა ბერლინის თეატრებში სამი წლის განმავლობაში ორასჯერ დასდგეს. დრამის შინაარსი აღებულია გასულ საუკუნის ორმოციან წლების გერმანიის მუშათა ცხოვრებიდან.

წ ი გ ნ ი ღ ი რ ს 50 კ ა პ.

მთავარი საწყობი წიგნისა არის მაღაზია „ა ლ ი ო ნ ი“-ს გამგე გ. გადილიასთან.

პროვინციაში მსურველთ წიგნი გაეგზავნება ჩვენი ხარჯით. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Кирочная ул. N 9. Василію Гадилія. (10—7)

### სახალხო უნივერსიტეტი

ზუბალაშვილის სახალხო სახლში კვირას, 21 მარტს, გაიმართება ორი ლექცია:

ნ. ე. ერმოლაევი წაიკითხავს მეორე პოპულიარულ ლექციას

### პოლიტიკურ ეკონომიაზე.

ი. ბაევი წაიკითხავს ლექციას გენრიხ იბსენის

### ბრანდზე

პირველი ლექცია დაიწყება დილის 11 ს., მეორე—12 ნახ. საათზე.

შესასვლელი ფასი 5—10 კ. ბილეთები კასაში იყიდება. (2—2)

**ექიმი** ქუთაისში **ფ. ი. ზასნევსკი**

იღებს ავადმყოფებს შინაგან სნეულებათა და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. [illegible] (25—33—12)

**ექიმი ზ. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს. საღამოს 5—6 საათ. [illegible] ქუჩა N 17, [illegible] პირ. ტელეფონი N 816. (0—55)

**ექიმი ი. ბაქრაძე**

იღებს შინაგან სნეულებებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს. და საღამოთი 5—7 ს. [illegible] N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—87)

ნდობაზე დაფუძნებული ამხანაგობა

### „ი უ ქ ა ნ ე“

ამით აუწყებს ყველა კერძო პირთ და დაწესებულებათ, რომელთაც საქმე აქვთ ამხანაგობასთან, რომ **ხოფრომ ნიკოლოზის ძე სხირტლაძე**, რომელიც ამხანაგობის ხელშეკრულობით (მე-4 მუხლი 1908 წ. 24 აპრილის ხელშეკრულობისა) ითვლებოდა ერთ-ერთ პასუხის მგებელ ამხანაგად, **12 მარტს ამა 1910 წლისა გამოვიდა თავის სურვილით ამხანაგობიდან,** თანახმად ხელშეკრულობის მე-16 მუხლისა, და ხსენებულ რიცხვიდან არავითარი კავშირი არა აქვს ამხანაგობის „იუქანე“-ს საქმეებთან. (1—203—1)

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი

### მ. ა. გაქონია

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:

(20—14) ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.

### სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა,** მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—161—34)

## ჩვენი დრო

რუსეთის ეხლანდელ ცხოვრებას რომ დავაკვირდეთ, ადვილად შევამჩნევთ იმის უმთავრეს მიმართულებას, იმის, ასე რომ ვსთქვათ, „ლეიტ-მოტივს“. ეს ხომ ცხადია, რომ დღეს რეაქცია მძვინვარებს, თანდათან ფართოვდება, ღრმავდება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყველაფერი სისტემატიურად, დაუდგრომლად და წინდაწინვე შემუშავებულ ერთ გეგმაზე მიმდინარეობს. მეორეს მხრივ ის საზოგადოებრივი ძალები, რომელნიც ამ ხუთი-ექვსი წლის წინად გამოჩნდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე, დაადგნენ ერთს თითქოს გარკვეულს გზას და საზოგადოებრივ ფორმების განახლებისაკენ გასწიეს. სწორედ იმ დროს, როდესაც რეაქციამ სისტემატიური მუშაობა დაიწყო, ეს ძალები არა თუ შედგნენ, დაუძლურდნენ, უკან დაიხიეს,—ეს ხომ ადვილად გასაგები იქნებოდა,—არამედ თითონაც ახალ ფორმების, ახალ იდეალების გადაფასებას შეუდგნენ. თითქოს ეკარგებათ იმ წმინდათა წმინდას რწმენა, რომელსაც შესწირეს ამდენი მსხვერპლი, ამდენი ძალა და ამაგი. რაკი საქმე დამარცხებით გათავდა, ჩვენ იმ ზომებს კი არ ვარჩევთ და არ ვიკვლევთ, რომელთა მიზეზითაც წაგებულ იქნა საქმე, არა, ჩვენ თვით პრინციპებისა და მისწრაფების კრიტიკას შევუდექით. აილეთ თანამედროვე ლიტერატურა, საზოგადოებრივი აზროვნება და დარწმუნდებით, რომ საქმე სწორედ ასეა, ინტელიგენციის წინაალმდეგ გალაშქრება (ალმანახი „ვეხი“), საზოგადოებრივ ძალების დაქსაქსვა, ბევრჯელ საზოგადოებრივ აზროვნების გათახსირება, რაღაც ახალ ღმერთების ძებნა, გადაჭარბებული სკეპტიციზმი, მისტიციზმი, ბევრჯელ აბსურდამდის მიტანილი, სქესობრიობის საკითხის გამწვავება და ზოგჯერ მისი პორნოგრაფიულ სამოსელში გახვევა, თვით პოლიტიკურ საკითხების უკუგდება და სადღაც მაღალ სფერებში ფრენა, — აი, რა არის დამახასიათებელი ინტელიგენციის აზროვნების დღევანდელ მდგომარეობისა.

გამარჯვებისათანავე რეაქცია შეუდგა დაჭერილ პოზიციების გამაგრებას, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ სანამ მტრის ჯარი ცოცხალი იქნება და რაიმე იარაღიც შერჩება, გამარჯვებას გამარჯვება არ ერქმევა. მაშ ჯერ უნდა წაერთვას მტერს არა თუ ის, რაც მან წინად ასე თუ ისე ხელიდან გამოგლიჯა, არამედ ისიც, რაც მას თავის მუშაობით, მეცადინეობით შეუქმნია. და რა მივაღწევ ამას, კი არ შევჩერდები, არა, თვით სულიერ, მორალურ თვით-შეგნების, იდეალების, მისწრაფების გათახსირებას შევუდგები, რომ მომავალშიაც აღარა ჰქონდეს მტერს რისამე ახალის შექმნის ღონისძიებაო... აი, ის გეგმა, რომლითაც ხელმძღვანელობდა რეაქცია, და თუ პირველში, როდესაც იმისი მიზანი იყო საზოგადოებრივ ძალების დაქსაქსვა, განადგურება მთლად საზოგადოებისა, ყოველნაირ იარაღის წართმევა, იგი პურიშკევიჩებს, ილიოდორებს, დუბროვინებს და ვოსტორგოვებს აკისრებდა ამ „შავ“ მუშაობას, მაშინ, როცა მიაღწია ამ მიზანს, „მავრი“ აღარ ესაჭიროებოდა, და მას სამზარეულოს კარი უჩვენა. რასაკვირველია, სრულიად დათხოვნა იმ მონისა, რომელმაც კარგად იცოდა „ბუდუარის“ ყველა საიდუმლო, მებატონისთვის შეუძლებელი იყო. მაგრამ მისი ახლო ყოფნაც სახიფათო ხდებოდა მეორე მიზნის მისაღწევად. „მავრი“ გააგდეს უკანა ეზოში, მაგრამ მაინც აჭმევდნენ და ასმევდნენ, ზოგჯერ კიდეც უალერსებდნენ.

როდესაც შეასრულეს გეგმის პირველი ნაწილი, მეორის აღსრულებას შეუდგნენ, და რადგან აქ ბრიყვი, უვიცი და გაუნათლებელი „მავრი“ ვერას გააწყობდა, საჭირო იყო სხვა მსახური. და აკი მზადაც იყო იგი: „ოქტომბრიზმი“, ოქტომბრიზმი, არა როგორც ესა თუ ის ფრაქცია, ესა თუ ის პოლიტიკური პარტია, არამედ როგორც მთელი მიმართულება, აზროვნება, იდეალი. იგი იყო მარჯვე საშუალება საზოგადოებრივ აზროვნების, ახალ იდეალების, ახლად ჩასახულ ფორმების გათახსირებისათვის, გაქარწყლებისთვის. საჭირო იყო შერყევა ამ მორალურ, გონებრივ და ზნეობრივ მონაგებისა, რომელიც მაინც და მაინც დამარცხებულ მტერს ხელთ შერჩა, და ამისთვის კი ოქტომბრიზმი სწორედ საუცხოვო საშუალება იყო. დაიწყო „კონსტიტუციონური“ კეკემალურობა. თითქოს ელაქუცებოდნენ კიდეც სათათბიროს, თანაც უკვეცავდნენ უფლებას, ურყევდნენ მორალურ ავტორიტეტს, და არც „ჰოოს“ეუბნებოდნენ და არც „არას“. ამ გვარ სათათბიროს, რასაკვირველია, უფრთხილდებოდნენ კიდეც, ინახავდნენ ისე, რომ მუშაობითაც კი არ აწუხებდნენ, ხოლო გარეთ უკანასკნელ ნდობას, ავტორიტეტს და რაისმე იმედს უკარგავდნენ. ოქტომბრიზმმა შეასრულა თავისი დანიშნულება და მას, როგორც მობეზრებულ საყვარელს, თავი გაანებეს. მერე როგორ აშკარად —წადი, მომწყინდი, აღარ მინდიხარო.

მეტად დამახასიათებელი იყო ამ მომენტისთვის ის დუელი, რომელიც მოხდა ოქტომბრისტთა ლიდერისა გუჩკოვისა და გრაფ უვაროვის შორის, და სტოლიპინის როლი ამ ინციდენტში. ამ უკანასკნელმა კერძო საუბარში დაჰგმო ოქტომბრისტების მოღვაწეობა და, რასაკვირველია, კარგად იცოდა, რომ ეს კერძოდ თქმული სიტყვები საქვეყნოდ გახდებოდა და ოქტომბრისტებს გააგებინებდა მათი როლის დამთავრებას. მაგრამ, ხომ იცით, აშკარად, საქვეყნოდ საყვარლისთვის თავის დანებება და მაღალის ხმით ამ საქციელის აღიარება ზნეობით დაცემულს, გათახსირებულ ადამიანსაც კი არ ეპაშნიკება, და აკი როდესაც შეეკითხნენ სტოლიპინს მის მიერ წინად გამოთქმულ სიტყვებზე, მან ისეთი პასუხი გასცა, რომ ერთის მხრით თითქოს ამტკიცებდა კიდეც თავის ნათქვამს, მეორეს მხრით კი თითქოს უარსა ჰყოფდა. მაგრამ ერთი მაინც ცხადი იყო, რომ ოქტომბრისტებსა და სტოლიპინს შუა ხიდი ჩატყდა და მერე ისე, რომ მისი შეკეთებაც კი შეუძლებელი გახდა. მოიშორეს ოქტომბრიზმიც და ახლა თითქოს დაამთავრეს საქმე, მაგრამ ვხედავთ, რომ რეაქცია არა თუ არა სუსტდება, არა მცირდება, არამედ უფრო ძლიერდება და ფართოვდება, და მისი ბოლო შორს, შორსაც კი არ მოსჩანს.

საქმე იმაშია, რომ გამარჯვებულ რეაქციას წილი მოსთხოვეს მისმა მხლობელმა სახლიკაცებმა, და ეს მონაწილენი, როგორადაც პლევეს და პობედონოსცევის პირდაპირი ჩამომავალნი, რასაკვირველია, არას დაუთმობდნენ გამარჯვებულ „სტოლიპინებს“. დაიწყო ნადავლის გაყოფა, და რადგან სტოლიპინებს კარგად ესმოდათ, რა გვარ მგლებთანა ჰქონდათ საქმე, მაშინვე ის ნაწილი ახვედრეს, რომელზედაც არა ერთს ამგვარ მგელს აუშენებია თავისი კეთილ-დღეობა. და ეს მსუქანი, ნოყიერი და მათთვის მეტად მარგებელი ლუკმა იყო „ინოროდცები“. შესდგა იმ მგელთა ხროვა, რომელსაც სახელად რუს ნაციონალისტებს ეძახიან. კარგად ვიცით ყველამ, რა ჯურის ხალხი ურევია ამ ხროვაში. რანაირადაც უნდა უმტკიცო ამათ შენი უდანაშაულობა, შენი სიკეთე, მორჩილება, ისინი კრილოვის მგელსავით მაინც ერთს გიპასუხებენ: „ყველაფერი ეგ თუნდაც რომ მართალი იყოს, შენ მაინც დამნაშავე ხარ იმისთვის, რომ მე მშიანო“ და თავით ფეხამდის შეგჭამდნენ კიდეც, მით უმეტეს, რომ ჩვენ, ინოროდცებს, ბატკნის ბლავილის მეტი იარაღი არ შეგვრჩენია, მაგრამ ჩვენ იღბალზე თვით მგელი გადაბერებულია, დაუძლურებული და ცუსიმა-პორტარტურში ისე აქვს გვერდები და კბილები ჩამტვრეული, რომ იქნება ერთ-ერთი ძვალი მაინც გაეჩხიროს ყელში და დაიხრჩოს, ხოლო თუ გადარჩა კიდეც, მაინც მგლის ფსიხოლოგია ისეთია, რომ რაც უნდა ბევრი მოჰხვდეს, სანამ ცოცხალია, ვერაგობას და ავაზაკობას არ მოიშლის და უსათუოდ სადმე ახალ ცუსიმასა და მუკდენს წააწყდება.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ისტორიაში ყოველს პროგრესს მოსდევს რეგრესი, ყოველ წინსვლას— შეჩერება და უკან დახევა, და რაც უფრო მძავრია ეს შეჩერება და უკან დახევა, მით უფრო ფართო და ნაყოფიერია ხოლმე შემდგომი პროგრესი და წინსვლა. ეს რომ ესე არ იყოს, საერთოდ პროგრესიც შეუძლებელი იქნებოდა. მართალია, ამ შემთხვევაში უფრო მე-

ტი მსხვერპლია საჭირო, ზოგჯერ თვით პროგრესის გზაც მახინჯდება, მაგრამ რას ვიზამთ, როცა არავითარი ძალა რაიმე „კორექტივის" შეტანისათვის არ შეგვწევს. დეე, თვით რეაქციამ გათხაროს თავისთვის საფლავი. დეე, თვით პურიშკევიჩებმა და მენშიკოვებმა თავიანთ პატრიოტულ მოღვაწეობით მოსჭრან ის ტოტი, რომელზედაც თვითონვე სხედან. დეე, რეაქციამ იქამდის მიაღწიოს, რომ არა თუ მაკლაკოვმა და ოქტომბრისტების ერთ-ერთმა ლიდერმა კნ. გოლიცინმა შეჰბღავლონ —„ასეთი ცხოვრება შეუძლებელიაო", არამედ რეაქციამ ისეთი მაგრა წაჰკრას კისერში იმათაც, ვისაც დღეს თვალები დახუჭული აქვს, სთვლემს, და არც-კი აინტერესებს გარეშემო რა ხდება. დეე, ამათაც შეჰღრიალონ: „დღეს ცხოვრება აუტანელიაო".

რაც შეგვეხება ჩვენ, ქართველებს, როგორადაც „ინოროდცების" რიცხვში მყოფნი, დიდი ხანია მგლის ლუკმათავართ ნაქცევნი; კარგი რამ დიდიხანია არ გვინახავს და ახლა უფრო ცუდს უნდა მოველოდეთ, მით უმეტეს, რომ არსაით შველა ჩვენთვის არ მოსჩანს. სხვა „ინოროდცებთან" შედარებით ჩვენ უფრო დიდ ტანჯვაში ვართ. სხვების სარწმუნოებას, სინიდისს ცოტათი მაინც თავისუფლება აქვს, ჩვენ კი, ჩვენ ყველაფერს გვართმევენ...

არა! დაგვრჩენია კიდევ ერთი გზა, და ეს ის გზაა, რომელსაც არა ერთხელ დაუხსნია ტანჯული, წვალებული, თითქმის უფსკრულამდის მისული ერი. ეს გზაა—ეროვნული თვითშეგნება, ეროვნულ კულტურისა და ეროვნულ პიროვნების შექმნა... აქ საჭიროა, რომ ის იდეალები, ის ფორმები, რომელსაც თაყვანსა ვცემდით იმ დროს, როდესაც ბრძოლის ველზე სასწორი ჩვენსკენ იხრებოდა, ის იდეალები, ის ფორმები ახლა მკვიდრ ნიადაგზე აღვაშენოთ, ხოლო ეს ნიადაგია ეროვნება, ეროვნული გრძნობაა. მოვემზადოთ, მოვემზადოთ, რომ როდესაც პურიშკევიჩების მიერ საკმაოდ დაჰდეჟული ტოტი ვერ შეიმაგრებს მათ სიმძიმეს, მზად ვიყვეთ ვისარგებლოთ ამითი. ეროვნული სკოლა, კულტურა, შეგნება, აი, საშუალება, და რადგან ეროვნულ ნიადაგის გამოუყოფელი ნაწილი ტერიტორიაა, ჩვენც, როგორც უწინ სპარსეთის მეფეს აგონებდნენ: „მეფევ, გახსოვდეს ათინაო", ვიმეორებთ, და ვაგონებთ ყველას: „ქართველებო, გახსოვდეთ ტერიტორია!"

**ხოხა.**

# დღიური

**გაუმარჯოს თავისუფლებას!**

ჰო! გული ნურავის გაუსკდება—ნურც მტერს, ნურც მოყვარეს. არსებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილების დარღვევა არ განმიზრახავს და არც მინდა ჩემი უძლური ხელი შევახო რუსეთის სახელოვანს კონსტიტუციას. არა პოლიტიკურის, არა სოციალურ თავისუფლების გამარჯვებას არ ვითხოვ. მე მოგახსენებთ მხოლოდ იმ ზნეობრივ თავისუფლების, უპრინციპობის შესახებ, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ჩვენში და რომელიც სამხედრო წესებით აკრძალული არაა.

ამის ერთი თვალსაჩინო მაგალითი იყო ცნობილი დრამის გმირების ქეთევან ლეონიძის და ლევან ხიმშიაშვილის გასამართლება — ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლების მიერ. ბევრი ცრემლი დაგვიღვრია „სამშობლოს" წარმოდგენის დროს, მრავალჯერ გაგვიტაცნივართ მამულიშვილების თავგანწირულობას, მოქალაქობრივ თავისუფლების ძლიერს სიყვარულს, დახატული სურათი სინამდვილედ წარმოგვიდგენია და საყვარელს გმირებს გვერდში ამოვდგომივართ, მაგრამ ამ პიესაში გამოსახული გრძნობები—შეტაკება პირად სიყვარულისა და საერო საქმის, მოვალეობის მეტად მარტივი, შაბლონურია და არაფერს საინტერესოს არ წარმოადგენს ლიტერატურულ სამსჯავროსათვის. „სამშობლოს" შინაარსი, ყველასათვის ადვილად გასაგებია და მისი გმირების მოქმედება ადვილად შეუძლია დააფასოს ყოველს საღს ადამიანს. აქ თავისამტვრევი და მოსაფიქრებელი არა არისრა: მეტად ცხადია ბოროტება, მეტად ნათელია სიკეთე.

ქართულს თეატრში გაასამართლეს ქეთევანი და ლევანი, გამართეს კამათი იმის შესახებ, რაც საკამათო არაა, და როგორც ქართველების წესია, ურიცხვი სიტყვა დახარჯეს, მაღალის კილოთი ილაპარაკეს, ჰწარე ოფლი დაღვარეს იმის გამოსარკვევად, რაც გამოსარკვევი არა ყოფილა, და იმის დასამტკიცებლად, რის დამტკიცება შეუძლებელია.

ბოროტება ბოროტება არაა და ყოველი უზნეო საქციელი გასამართლებელია, არაა დასაგმობელი,—აი რა გამოარკვია ლიტერატურულმა სამსჯავრომ და რის დამტკიცებას, დასაბუთებას მოანდომა ხუთი საათი. ეს შეიძლება თავისთავად აღსანიშნავი არ იყო, მაგრამ იგი ფრიად საგულისხმიეროა, როგორც ერთი მრავალთაგანი, ერთი ნიშნობლივი თვისებათაგანი ჩვენი საზოგადოებისა. ამ სალიტერატურო სამსჯავროში ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლებმა გამოაშკარავეს თავიანთი სახე, ზნეობრივი რწმენა და არა ლევანისა და ქეთევანის პიროვნება, რომელიც არავისთვის არაა სადავო და დაფარული.

ქეთევანს და ლევანს უყვარდათ ერთმანეთი, სიყვარულით შეპყრობილი ადამიანი მოკლებულია ნებას, იგი განურჩევლად არღვევს ყველაფერს, რაც კი წინ გადაეღობება,—გვეუბნებიან ჩვენი მსაჯულები. მაგრამ ვკითხოთ: განა ცოტაა სხვა გრძნობაც არა ნაკლებ ძლიერი, გრძნობა იდეური, მაღალი, მაგალითად სარწმუნოებრივი სიყვარული, სიყვარული სამშობლოსადმი, კაცობრიობისადმი? განა ქეთევან-ლევანის სიყვარული შეედრება თავის სიძლიერით სარწმუნოებრივ ფანატიკოსობას და განა უნდა გავამართლოთ ის უთვალავი მხეცობა და სიბოროტე, რომელიც ჩაუდენიათ სარწმუნოებით გატაცებულთ ადამიანებს? განა ყოველი მომქმედი, დამნაშავე მონა არაა მოქმედების დროს თავის აზრისა-გრძნობის?

თუ ამ გზას დავადექით, დავუწყებთ ძებნას პირველ მიზეზებს, იმ დასკვნამდის მივალთ, რომ ყოველი ბოროტება უნდა გავამართლოთ, არ არის დამნაშავე არც კერძო, არც საზოგადო ცხოვრებაში და ერთნაირის ღირსების ადამიანია, როგორც სისხლით შეღებული ტახტზე მჯდომი მტარვალი, ჯალათი, გამცემი, მატყუარა, ისე სიმართლისათვის წამებული, კაცი კეთილშობილი, წმინდა, პატიოსანი: აღარ არის კეთილი და ბოროტი, ყველაფერი შეიძლება, ერთი მეორისაგან არ განირჩევა!

მაგრამ ამ გზით ხომ იქამდის მივალთ, რომ სრულიად უნდა უარვყოთ საზოგადოება და ყველანი გავვარდეთ ტყედ და ველად პირველყოფილ ადამიანებსავით.

ჩვენებურ ზნეობრივ თავისუფლების მოტრფიალენი ივიწყებენ, რომ თვითონ საზოგადოება ჰქმნის დამნაშავეებს, როცა სთესავს ზნეობრივ არარაობის აზრებს. ამა თუ იმ გრძნობის აღვირაშვებულობა საზოგადოების უზნეობისაგან წარმოსდგება. ქეთევანს სიმონი არ უყვარს და უფლება აქვს (და მოვალეობაც) განშორდეს, ქეთევანს და ლევანს ერთმანეთი უყვართ, ესეც მათი ნებაა. მაგრამ არის გრძნობა მეგობრობისა, არის მოვალეობა სამშობლოს მიმართ და ქეთევანს-ლევანს არ შეუძლიათ უბრალო პირუტყვებსავით სდუმდნენ ამ მოვალეობათა წინაშე. თუ საზოგადოებაში მტკიცე შეურყეველი საზოგადოებრივი რწმენანია დამყარებული, მაშინ ქეთევანი და ლევანი ისე ადვილად ვერ გასწირავენ მეგობარს, ვერ დაივიწყებენ სამშობლოს უდიდეს განსაცდელის დროს, ვერ იკისრებენ გამცემლობას. თუ ძლიერია მათში ერთმანეთის სიყვარული, ძლიერი იქნებოდა გრძნობაც საზოგადოებრივიც და მათ შორის დიდი ბრძოლა მოხდებოდა. ყოველს შემთხვევაში, თუ გაიმარჯვებდა პირველი, ქეთევანი და ლევანი არ გაიმართლებდნენ თავს და არ იტყოდნენ: არა, დამნაშავენი არა ვართ! სარდუს პიესაში, საიდანაც გადმოკეთებულია „სამშობლო", ბრძოლა ესპანელებსა და ნიდერლანდიელებს შორისაა, ქეთევანი ესპანელია. მისი ქმარი ნიდერლანდიელი და მისი გამცემლობა სხვა ელფერს იღებს.

გადმოქართულებულ დრამაში კი თუმცა ქეთევანი თათრის სისხლისაა, მაგრამ პატარობიდანვე ქართველად არის აღზრდილი და მისი ღალატი ვერ გამართლდება. თვითონ ქეთევანიც არ ფიქრობს თავის გამართლებას, მისი ზნეობრივი რწმენა უფრო მაღალია, ვიდრე ჩვენი მსაჯულებისა, რომლებიც ზნეობრივ არარაობის ქადაგებით დაშლისა და გახრწნისაკენ მოუწოდებენ საზოგადოებას.

საზოგადოებას შეუძლიან არსებობა მხოლოდ გარდაუვალ ზნეობის შემწეობით; საზოგადოებაში უნდა ბატონობდეს ზნეობრივი წესები, რომლის დამრღვეველი არის დამნაშავე და გასაძევებელი. თუ საზოგადოება სასტიკად არ იცავს ამ კანონებს, ის ჰკარგავს სახეს, პიროვნებას, არსებობას. დღევანდელი ჩვენი საზოგადოება მეტად სუსტია, საზოგადოებრივობა ჩვენში მკრთალია, განუვითარებელი და ჩვენ დღეს ზნეობრივი სისასტიკე გვესაჭიროება, რომელმაც მაგრად უნდა შეგვკრას, შეგვაერთოს და მით ძალა მოგვანიჭოს, და არა ზნეობრივი არარაობა, უპრინციპობის თავისუფლება. დრო არის, გამოვიჩინოთ ყოველთვის მოქალაქობრივი გამბედაობა: აშკარად დავგმოთ ყოველი არა-საზოგადოებრივი მოქმედება. ამით თვით დამნაშავეებსა და ბოროტ-მოქმედებსაც განვსწმენდთ და აღვამაღლებთ. ბოროტის შემბრალებელი ბოროტების აღმზრდალი და განმავითარებელია.

**ხიტყვა.**

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ქუთაისიც გაბედნიერდა, იქაც გამოვიდა ყოველ-დღიური რუსული გაზეთი „კუტაისსკი ლისტოკ"-ი. გაზეთი ჯერ პატარაა, გვპირდება შემდეგში გადიდებას და გაფართოებას. იგი ადგილობრივ საჭიროებებს გაუწევს სამსახურსაო, გვაიმედებს რედაქცია. როგორც ამ რედაქციის ხანაშია მიღებული, ახალი გაზეთი აცხადებს, არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნიო.

ამ რიგად, იმ ოთხ თუ ხუთ რუსულ გაზეთს, რომელსაც ხელმძღვანელობენ ქართველები, ახალი თანამოძმე მიემატა. ქუთაისის გუბერნიაში, რომლის მცხოვრებთა 95 პროცენტს ქართველები შადგენენ, ერთ ქართულ ყოველ-დღიურ გაზეთის გამოცემა ვერ მოახერხეს, და ეხლა ამის ნაცვლად რუსული გამოდის. თუ რის მომასწავებელია ასეთი მოვლენა, მკითხველი ადვილად მიჰხვდება.

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი.** ქუთაისის გიმნაზიაში მომხდარ ინციდენტმა უმაღლეს წრეებში დიდი ლაპარაკი გამოიწვია. როგორც დანამდვილებით ამბობენ, სათათბიროში შეკითხვის შემდეგ, სტოლიპინს მინისტრს შვარცთან ჰქონია ბაასი. სტოლიპინს უთქვამს: უთუოდ გამოარკვიოთ—სთქვა თუ არა მასწავლებელმა ფრაზა: „ნუ ჰყეფთ მაგ მხეცურ ენაზეო". ეს მასწავლებელს არ ეპატიებაო.

**27** მარტისთვის გასარჩევად ხელმეორედ დანიშნულია ვოსტორგოვის და კირიონ ეპისკოპოსის საქმე. დეკ. ვოსტორგოვი პირველად არც თითონ გამოცხადდა და არც ვექილი გამოგზავნა. ეს პროცესსი ყველას აინტერესებს. როგორც ამბობენ, ვოსტორგოვს არ ეგონა, თუ კირიონი გაჰბედავდა მის წინააღმდეგ ჩივილს.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**სამხედრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა**

19 მარტის სხდომაზე სათათბირომ განიხილა კარგი ჯიშის ცხენების მომშენებელ უწყების ხარჯთ-აღრიცხვა და შემდეგ შეუდგა მთავარ საინტენდანტო გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

საბიუჯეტო კომისიის მოხსენებელმა **ზვეგინცევმა** აღნიშნა, რომ ეხლა მთელი ძალა სამხედრო მინისტრის ხელშია; მარტო სამხედრო მინისტრს აქვს უფლება ხელმწიფეს მოახსენოს ყოველი საქმე სამხედრო უწყების შესახებ; მთელი საქმის რიგიანად წარმოებისთვისაც მარტოდ-მარტო იგივე მინისტრი აგებს პასუხსაო. საინტენდანტო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ ზვეგინცევმა ხაზ-გასმით აღნიშნა, რომ ეხლა, როდესაც სენატის რევიზიამ გამოარკვია უწყების სავალალო მდგომარეობა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მთავრობა აღარ დასჯერდება ცარიელ სიტყვებს და ნამდვილ რეფორმებს მოახდენსო.

სახელმწიფო დაცვის კომისიის მომხსენებელმა **ხვოშჩინსკიმ** განმარტა, რომ მთავარ საინტენდანტოს ხარჯი შეადგენს სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის 71 პროცენტს. მომხსენებელმა დაწვრილებით გამოარკვია საინტენდანტოს ანგარიშისა, საჯარო ვაჭრობისა საქონლის მიღების ნაკლულევანება. ნამეტნავად უხეიროა ის წესი, რომლის თანახმადნაირ-ნაირ პოლიტიკურ ორგანიზაციებს უვაჭრობოდ ჩვეულებრივზე მეტ ფასებში მიცემა იჯარისა: ამ ორგანიზაციას სრულიად არ შეუძლიანთ პასუხის გება იმ შემთხვევაში, თუ პირობა ვერ შეასრულეს; არც ის შეუძლიანთ, რომ ჯარს საჭირო ნივთები რიგზე ჩააბარონ. ასეთი წესი დიდ განსაცდელს უქადის ხალხისა და უწყებათა ინტერესებს. მომხსენებელმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საინტენდანტოსთვის მთელი საჭირო საქონლის დამზადება და მიღება უნდა გაიცემოდეს ხოლმე საჯარო ვაჭრობით, ყველა ურიგო დამნაშავე სისხლის სამართალში მიიცეს და ყოველი თვითნებობა უნდა მოისპოს.

**სამხედრო მინისტრის თანაშემწემ** სთქვა, რომ იგი ყველაზე დიდ ყურადღებას აქცევს საინტენდანტოს ხარჯთ აღრიცხვას, რადგან ეს ხარჯთ-აღრიცხვა ნამეტანი დიდიცაა და ამას გარდა, საინტენდანტოში იმ თავითვე დიდი უწესოება სუფევს. სამინისტრო არ შეუშინდა თავის შინაგან საქმეების რევიზიასაც, რომელმაც უნდა გაანათოს საინტენდანტოს უწყების ბნელი მხარეები. რაც შეეხება რეფორმას, ამ მხრივ ცოტა რამ უკვე გარიგდა: თებერვალში უმაღლესად დამტკიცდა დებულება „პატიოსნების სასამართლოთა" დაარსების შესახებ და უეჭველია ეს სასამართლოები კარგ გავლენას იქონიებენ უწყებაზე. ამას გარდა სამინისტრომ ბევრი სასარგებლო კანონ-პროექტი შეიმუშავა უწყების უკეთესად მოსაწყობად. დასასრულ, სამხედრო მინისტრის თანაშემწემ სათათბიროს სთხოვა კომისიის მიერ ზოგიერთ შემცირებულ კრედიტის აღდგენა.

**მთავარმა ინტენდანტმა** სთქვა, მართალია საინტენდანტომ უნდა ეცადოს, რომ ჩაბარებული საქონელი რაც შეიძლება იაფად დაისვას, მა-

# გაუმარჯოს მოღალატეს!

ხუმრობა ერთ მოქმედებად.

**მ ო ქ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი:**

| | | |
|---|---|---|
| სასამართლოს თავმჯდომარე | | ილია ზურაბიშვილი. |
| მოსამართლენი | | შ. მიქელაძე. |
| | | ნიკ. ლორთქიფანიძე. |
| ბრალმდებელი | | შალვა მესხიშვილი. |
| მდივანი | | თამარ ჩიჯავაძე. |
| სასამ. ბოქაული | | ალ. ციციშვილი. |
| ნაფიც მსაჯულთა მამასახლისი | | კოტე მაყაშვილი. |
| ნაფიცი მსაჯულნი | | დომ. განდეგილი. |
| | | მარიამ წერეთლისა. |
| | | ანნა ჯაფარიძე. |
| | | ანასტ. ვახვახიშვილი. |
| | | იოს. ბარათაშვილი. |
| | | მაჩაბლიშვილი. |
| | | გ. სალარიძე. |
| | | ს. მაჭავარიანი. |
| | | ვ. ციციშვილი. |
| | | დ. ვაჩნაძე. |
| | | სოლაღაშვილი. |
| ბრალდებულნი | ქეთევან ლეონიძისა | თამ. გოგოლაშვილი. |
| | ლევ. ხიმშიაშვილი | სვიმ. ყიფიანი. |
| მოწმენი | სვიმონ ლიონიძე | გიორგი ანანიაშვილი. |
| | გოგია დიაკვანი | შალვა ამირაჯიბი. |
| | ისკანდერ-ბეგ | ელ. შანშიაშვილი. |
| | მოხუცი დედაკაცი | ნებიერიძისა. |
| ვექილები | | ალ. მდივანი. |
| | | იოს. მაჭავარიანი. |

სცენა წარმოადგენს ქართულ თეატრს. დარბაზი ხალხით გაჭედილია.

**ბოქაული ციციშვილი.**

მოსამართლენი
მობრძანდებიან,
ადექით, თორემ
განრისხდებიან!

შემოდიან მოსამართლენი, ნაფიცი მსაჯულნი, ბრალმდებელი, დამცველნი და სხვანი.

**თავმჯ. ი. ზურაბიშვილი.**

აბა, დავიწყოთ:
ყველას ვაუწყოთ,
ვითარ დღეს სასჯელს
მივცემთ ქეთევანს
და მისს საყვარელს
თავადსა ლევანს!

**ვექილი ი. მაჭავარიანი.**

ნება მომეცით, ერთი საკითხი
შემოვიტანო, ღვთის გულისათვის...

**თავმჯ. ი. ზურაბიშვილი.**

შენ ემანდ ეგდე, არც ნებას გაძლევ!

**ვექ. ი. მაჭავარიანი.**

საქმის ნამდვილის გაგებისათვის...

**თავმ. ი. ზურაბიშვილი (უგირის).**

არ გაძლევ მეთქი, გესმის თუ არა!
ნუ ლაპარაკობ შენ წარა-მარა!

მერე თავმჯდომარე ბოქაულს უბრძანებს, პირი აუკარ გექილსაო. მეორე ვექილი ალ. მდივანი შიშით ცახცახებს. შემდეგ ბრალდებულნი შემოჰყავთ. ბრალდებულთ მოწმენი მოსდევენ.

**თავმ. ი. ზურაბიშვილი.**

აბა, გვითხარ, ლიონიძევ,
მოწამე ხარ, რას გვაჩვენებ?

**მოწმ. ლიონიძე.**

დაწვრილებით მოგახსენებ,
ოღონდ კი ნუ შემაჩვენებ!

მსაჯულთ ყურში ეჩურჩულება. საზოგადოებაში ისმის ხმები: „ჩვენც გაგვაგონეთ"! დ. ჯაში წამოხტება და თავმჯდომარეს შეუტყრთხებს. აურზაურია, თავმ. ი. ზურაბიშვილი გაბრაზებული მაგიდას აბრახუნებს, შემდეგ ზედ აგდ და ისე ძლიერად დაიყვირებს, რომ თეატრის კედლები ზანზარს დაიწყებს. შეშინებული საზოგადოება გახუმდება.

**მოწმ. ლიონიძე.**

ჩვენ ვილაცამ გვიღალატა,
გასცა ჩემი შეთქმულობა,
ლევანმა კი მე გამწყრა,
დაარღვია მეგობრობა.
ლევანს ვუთხარ: არ გრცხვენიან,
შენსა ერთგულს რად მიმტყუნე?
თუ წამართვი ქეთევანი
მაშ, სამშობლო დამიბრუნე.
მიჰკალ ჩვენი გამცემელი,
და მან მოჰკლა საყვარელი,
ჩემი ცოლი უნამუსო,
ღრმად ლახვარი გულს ჩაუსო.

შემოჰყავთ გოგია დიაკვანი. გაშმაგებული შემოდის, თითქოს სარი გადაუყლაპავსო.

**თავმ. ი. ზურაბიშვილი**

შენ რა იცი ამ საქმისა?

**გოგია დიაკვანი.**

გვღალატობდა, აგერ, ისა!

**თავმ. ი. ზურაბიშვილი.**

სხვაც მოგვიყე ნელა-ნელა!

**გოგია დიაკვანი.**

მოსე ჯანაშვილი ამბობს,
მე თვითონაც გამიგია:
ცხვარი, ძროხა გადარეკეს,
და მაშ ეს არ დაუგმია!
თავს დაგვესხნენ სპარსელები,
შეგვიქენით კვლავ მონები.
კვლავ ავტირდით, ავქვითინდით,
დაგვატეხეს რისხვა გრგვინვით.

შემოჰყავთ ისკანდერ-ბეგ. თხის წვერს აცანცარებს და ხელს ისვამს. წელში მოკაკულია.

**ისკანდერ-ბეგ**

რის შესახებ მოგახსენოთ?!

**თავმ. ი. ზურაბიშვილი**

აბა, მოჰყე, რაც-კი იცი!

**ისკანდერ-ბეგ**

ალლახია ჩემი შემწე
და არც უნდა ამას ფიცი!
საღამო ჟამს ვჭამე ხაში,
ხაშიშიც ზედ დავაყოლე;
ჩემი ჭკუა და გონება
თან ეშმაკებს გავაყოლე.
ბნელოდა და ვბარბაცებდი,
ალლახის ხმლით გზას ვიკვლევდი.
„ვინა ხარო", დამიყვირეს;
ისიც მცემდა, მეცა ვცემდი.
მეორე დღეს სისხლში იყო
ამოსვრილი ჩემი ხმალი.
ჩემს მოკრივეს უკან ედგა
სანთლით ხელში ვილაც ქალი.

**ბრალმდ. შ. მესხიშვილი**

ოქმში იქმნეს შეტანილი
გთხოვთ, მსაჯულნო, ეს სიტყვები.

**დამცვ. ა. მდივანი**

როს მოვიდა შაჰთან, მითხარ,
ქეთევანი ცახცახებდა?

**ისკანდერ-ბეგ.**

დიახ, დიახ ცახცახებდა!
დიახ, დიახ კანკალებდა!

ჩვენების ჩამორთმევას გაათავებენ. ბრალმდ. მესხიშვილი სიტყვას ამბობს. მუშტებს იქნევს და ღელავს. შემდეგ მეტის აღშფოთებით ტირილს დაიწყებს.

**ბრალმ. შ. მესხიშვილი**

სიყვარულის გულისათვის,
გასცა ქართველთ შეთქმულობა,
შეიყვარა მხოლოდ ხორცი,
დაჰგმო წმინდა მეუღლობა!
ჯაშუშია... მოღალატე...
ბელზებელი მასში ბუდობს,
ძირს დაამხო მთელი ერი,
ამ დიდს ცოდვას ვინ შეუნდობს!
კვლავ ცეცხლს მისცა საქართველო,
გადაგვიწვეს მთლად სახლ-კარი.

სტირის. მაგიდის სუფრით ცრემლს იწმენდს.

გთხოვთ, ეს ქალი გაამტყუნოთ,
დამნაშავე, ჰხედავთ, არის!..
(ტაში)

**დამც. ა. მდივანი**

სინათლეა, კარგად იცით,
და სინათლეს ახლავს ბნელი,
სიყვარულსაც ცოდო მოსდევს,
ნუ ვიქნებით ულმობელი!

**დამცვ. ი. მაჭავარიანი.**

აბა ამას რა ბრალსა სდებთ,
იჯაშუშა, სხვა რა მოხდა?
ნაზი სული სიყვარულით
ცოტას გახდა არ აღმოხდა.
„საბრალოა სიყვარული,
კაცსა შეიქმს გულნაკლულად";
გავამართლოთ, მეგობრებო,
მოვეპყრობით ნურცა მტრულად.
დედა-მიწა, იცით, ბრუნავს,
და ჩვენგანი ყველა ზრუნავს.
მზეს უთხარით ნუ ანათებს,
აღარც ქეთო შეიყვარებს.
ვინც კი არის დიდებული,
იმას ვტყორცნით შუბლში ტყვიას.
ლევანს თუ ჩვენ გავამტყუნებთ,
ხალხს მოვუტანთ დიდსა ზიანს!
(ტაში)

**ბრალდ. ქეთევან.**

დიახ, მე ვიყავ ნამდვილი მონა,
ქმრის წინააღმდეგ ბევრი ვიომე;
დიახ, სამშობლო არა მქონია...
(ბოქაულს)
წყალი მომწყურდა... ეგ ქიქა მომე.
დიახ, თქვენ უნდა მე გამამართლოთ,
ქმრის წინააღმდეგ დროშა აღმართოთ!

**თავმ. ი. ზურაბიშვილი.**

შენ რაღას იტყვი, ლევანო!

**ლევ. ხიმშიაშვილი.**

შეშინებული კურდღელივით თვალებს ახამხამებს. უკვირს, ეს რა ამბავი ხემს თავსაო.

ბე, ბე, ბე, ბეე,
რაღა გითხრათ მე:
ან იქნებოდა ასე,
ან იქნებოდა ისე.

**თავმ. ი. ზურაბიშვილი.**

ჩვენ გავალთ და ვითათბირებთ,
რას გარდავსწყვეტთ, მოგახსენებთ.
შოთამ რა სთქვა... იცით, რა სთქვა?
კი არა სთქვა, დაგვიწერა:
„ქმნა მართლისა სამართლისა".
მეგობარო, ხომ შენც გჯერა?
დანარჩენი წაიკითხეთ,
რა ვერ მიჰხვდეთ, მოდით, მკითხეთ!

უველანი გადიან. სცენა ცარიელდება. კულისებში ისმის ჩხუბი და დავიდარაბა.

**ხმა იოს. ბარათაშვილისა.**

არ შეიძლება, უნდა გამართლდეს!

**ხმა კ. მაყაშვილისა.**

საქმე მაგითი, ვაი თუ წახდეს?!

**განდეგილი.**

სიყვარული უნდა სრული,
მან არ იცის უნცი, გრამი,
ის მოგვალხენს, ის მოგვაწყენს
და გულისა არის ნამი.
რას ჩაიდენს, თვით არ იცის,
სიყვარულით დაბნეული;
ქება ლევანს, ქება ქეთოს
და გვირგვინი ღირსეული!

**ხმა მაჭავარიანისა.**

ამხანაგებო, მოდით გადავდოთ
და განაჩენი ხვალე ვაუწყოთ!

გრამ ამავე დროს თავისი თავი რაღაც განყენებულ საინტენდანტოდ როდი უნდა ჩასთვალოს და არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი რუსის ჯარის საინტენდანტოა (მარჯვნივ: „ვაშა“). ამიტომ საინტენდანტომ შრომის დამხმარებელ საზოგადოებათ უნდა შეუკვეთოს საქონლის ჩაბარება. ამ საზოგადოებათა შემწეობით, საინტენდანტო თავისუფლდება ცენტრალურ ქარხნების დამოკიდებულებისაგან, ხოლო ეს ქარხნები ხშირად უფრო ფულს ამუშავებენ და საინტენდანტოს თავიანთ პირობებს უკარნახებენ (ტაში მარჯვნივ). სამხედრო სამინისტრო აპირებს რეფორმების მოხდენას; ეს რეფორმები დიდად გაახარებენ ჩვენს ხელმწიფეს და მრავალ მილიონს გამოუზოგავენ ჩვენს ძვირფას სამშობლოს (მარჯვნივ: „ვაშა“).

**ბობიანსკიმ** (კადეტია) სთქვა: ვაი თუ სათათბიროს მიერ დამტკიცებული კრედიტები არ მოხმარდეს იმ საჭიროებას, რომლისთვისაც დანიშნულია. სამხედრო უწყებაში კანონმდებელი და აღმასრულებელი ძალა შეერთებულია და ერთმანეთს კანტროლს ვერ გაუწევენ. ჯარში მეტის მეტად გამრავლებულია ადმინისტრატიული ელემენტი: მრავალი აფიცერი ზის ყოველ-ნაირ შტატებში ახირებულ თანამდებობაზე, მაგალითად თავშესაფრების მმართველ თანამდებობაზე. მთავარი შტაბი ცუდადაა მოწყობილი და არავითარი პასუხის-გება არა აქვს დაკისრებული. სამხედრო სასწავლებლებში, როგორც ეტყობა, რეფორმებს არა ჰფიქრობენ. საოცარია, რომ საინტენდანტოში ბოროტების აღმოსაჩენად დასჭირდა სენატორები, თითონ გენერლებმა კი ვერა გაიგესრა. სამსახურიდან გადამდგარ აფიცრების დანიშვნით ვერას გახდებიან: საჭიროა კანტროლი, ყურის გდება. ერთად-ერთი ნამდვილი რევიზორი არის მტრის ზარბაზანთა ჭექა-ქუხილი. სასურველია, რომ ამ რევიზორსს შესაფერისად დაუხვდეს სამხედრო უწყება (ტაში მარცხნივ).

**ლიახნიცკი.** სამხედრო უწყების ყველა უბედურება იქიდან წარმოსდგება, რომ უნდათ ჯარი ხალხს დააშორონ: რუსეთის სამხედრო ძლიერება მხოლოდ მაშინ განახლდება, როდესაც ჯარი ხალხს შეუერთდება.

**მარკოვმა მეორემ** პროტესტი განაცხადა ლიახნიცკის წინაამდეგ: იგი რევოლიუციასა და „ბუნტს“ ქადაგებსო. უვაჭრობოდ იჯარებს ურიებსაც აძლევდნენ ხოლმე.

**ბელოუსოვი** (სოც.-დემოკრატი). მთავარი საინტენდანტო უწყებას გულწრფელად როდი ჰსურს ადგილობრივ საინტენდანტოების ბოროტმოქმედების გამოაშკარავება. ხალხის დემოკრატიული ნაწილი ვერ დაუჯერებს იმ ხუროთმოძღვრებს, რომლებიც უწყების განახლებას აპირებენ, რადგან ისინი თითონ ჰფლანგავდნენ ხალხის ფულს; პრესას მტაცებლობის გამოაშკარავებისთვის ადმინისტრატიულ სააჯელებით სჯიან. მხოლოდ დემოკრატიული წესწყობილება გამოიყვანს რუსეთს ახალ გზაზე (ტაში მარცხნივ).

შემდეგი სხდომა ოც მარტს მოხდება.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 მარტი.

## საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** სენატმა დაამტკიცა დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული კანონ-პროექტი, რომლითაც ჯარში შესვლა არ შეუძლიანთ სისხლის სამართლით დასჯილთ.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. ვენეციის საავადმყოფოს ექიმის ვონონის სიტყვით, დილით, სანამ კამაროვსკის კუჭს გაურეცხავდნენ, იგი კარგად გრძნობდა თავს, მე წინაალმდეგი ვიყავ, შესაძლებლად არ მიმაჩნდა, რომ კომაროვსკისთვის კუჭი გაერეცხათ, სთქვა ვანონმა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა არ შემეძლო, რადგან უფროს ექიმის ბრძანებით ვმოქმედებდიო. ნაფიცმა ვექილმა მანკოვსკიმ, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში პრილუკოვის თანაშემწედ ითვლებოდა, განაცხადა: პრილუკოვი ძალიან შრომობდა. დილის 8 საათიდან ნაშუაღამევის 2 საათამდის მუშაობდა, ასე რომ პურის-ჭამასაც კი ვერ ასწრობდა. მას გაგიჟებით უყვარდა თავისი ოჯახი. წელიწადში პრილუკოვი 25,000 მანეთამდე იღებდა. ტარნოვსკაიასთან დაახლოვების შემდეგ საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. ნამეტან მას შემდეგ, რაც პრილუკოვმა თავის მოკვლა განიზრახა. პრილუკოვი სულ გამოიცვალა. — არანორმალურად სცხოვრობდა. ტარნოვსკაია მას თავს აღარ ანებებდა. ნებას არ აძლევდა ცოლ-შვილი ენახა და ხშირად სასაცილო მდგომარეობაში აყენებდა. ერთხელ თეატრში ტარნოვსკაიას ბრძანებით, პრილუკოვი ლოჟიდან სცენაზედ გადახტა. პრილუკოვს რომ სდომოდა, უფრო მეტ ფულს გაჰფლანგავდა. თავის მოკვლის განზრახვის დროს მან ნაფიც-ვექილს ლევენშტეინს წერილი მისწერა, ტარნოვსკაიას გულისთვის ვიკლავ თავს, რადგან არა მსურს ცუდ გზას დავადგეო. ტარნოვსკაია მანკოვსკის ზოგიერთ სიტყვის დროს ძლივს იმაგრებს სიცილს. ხელმეორედ ჩვენება ჩამოართვეს მანკოვსკის. მანკოვსკიმ სთქვა: პერიამ ჩემთან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს იგი არა ჰფიქრობდა რას სჩადიოდა. ცუდს თუ კარგს. პერიე მხოლოდ ტარნოვსკაიას ბრძანებას ასრულებდა. პრილუკოვმა გადმომცა, რომ ტარნოვსკაიამ მოსკოვში ეკლესიაში შემიყვანა და დამაფიცა, რომ ჩემს დღეში თავს არ დავანებებო. მოწმემ სასამართლოს გადასცა 28 წერილი. ეს წერილები ტარნოვსკაიას პრილუკოვისთვის მიუწერია და მანკოვსკის პრილუკოვის კაბინეტში უპოვნია. ტარნოვსკაიამ განაცხადა, რომ ეს წერილები მე არ მეკუთვნის, მე არ დამიწერიაო. სენატორ, ექიმ მარალიანოს სიტყვით, იგი ტარანოვსკაიას გენუაში ყოფნის დროს თავისთან მიუწვევია. ტარნოვსკაია ძალიან ავადმყოფი და სულით დაცემული იყოო.

**პარიზი.** სენატი. ზოგიერთ სენატორების შეკითხვაზედ სამხედრო მინისტრმა განაცხადა: საფრანგეთს 1910 წლის ბოლოს ექნება 12 ჰაეროპლანი. ამას გარდა, მთავრობას განზრახული აქვს სხვა ჰაეროპლანების აშენებაც. ამისთვის საჭიროა 20 მილიონი ფრანკი. პარლამენტი კარგს იზამდა, რომ ეს ფული გაეღო. ფულის გადადება თეორიულ სჯა-ბაასზედ მეტს მოიტანსო. სენატმა მიიღო სამხედრო მინისტრის მიერ მოწონებული მორიგ საქმეებზედ გადასასვლელი ფორმულა, რომლითაც სენატი სასურველად და საჭიროდ სთვლის, რომ რაც შეიძლება ჩქარა განხორციელდეს მთავრობის განზრახვები.

დეპუტატთა პალატამ საბოლოოდ მიიღო მოხუც მუშათა უზრუნველჰყოფის შესახებ კანონ-პროექტი.

**სტამბოლი.** დიბრის მიტროპოლიტის თანაშემწედ სინოდი ნიშნავს არქიმანდრიტ ვარნავოს, რომელსაც კოსსოვის ეპისკოპოსობას მისცემენ. არქიმანდრიტი ვარნავო სერბია. სინოდის გადაწყვეტილებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, სერბები კარგის თვალით შეხედავენ ამ გადაწყვეტილებასო.

**რომი.** სტეფანის საგენტოს სიტყვით, ტყუილია ჰავასის სააგენტოს ცნობა, ვითომ აბეშის იმპერატორი მენელიკი გარდაცვლილიყოს. იმპერატორი მენელიკი წინანდებურად გამოურკვეველ მდგომარეობაშია.

**ვენა.** ადრიატიკის ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებზედ ქარიშხალი მძვინვარებს. ტრიესტ-პარენცოს რკინის გზაზედ ქარიშხალის გამო სამგზავრო მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. მოკვდა 3, დაშავდა 18 მგზავრი.

**ბერლინი.** სასამართლომ განიხილა გაზეთ „ფორვერტსის“ პასუხისმგებელ რედაქტორის საქმე. გაზეთში დაიბეჭდა წერილი, რომლის ავტორიც ხალხს ურჩევდა მთავრობის ნებადაურთველად გამართოთ კრებები და პროცესიებიო.

**ბერლინი.** „ჰამბურგერ-ნარრისტენი“ ეხება ფინლიანდიის და რუსეთის დამოკიდებულებას და ჰკიცხავს იმ გერმანულ გაზეთებს, რომლებმაც რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრეს და გაჰკიცხეს, რუსეთი ფინლიანდიას უკანონოდ ექცევაო. გაზეთ „პოსტის“ აზრით ფრანგული და ინგლისური გაზეთები უფრო თავდაჭერილად მსჯელობენ ამ საკითხის გამო, ვინემ გერმანიისა. გაზეთი იცავს რუსეთის მთავრობის მოქმედებას ფინლიანდიის საკითხში და ზოგიერთ გერმანიის გაზეთების ბრალდებას უსაფუძვლოდ აცხადებს. კაცთ-მოყვარეობის თვალ-საზრისითო, სწერს გაზეთი, ფინლიანდია, რა თქმა უნდა, თანაგრძნობის ღირსია, მაგრამ სასტიკი საჭიროება ამ მხვერპლს თხოულობსო.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩერჩილმა განაცხადა: ლორდთა პალატის უფლებების შეკვეცის შესახებ რეზოლიუციების მიღების შემდეგ მთავრობა, ყოველ შემთხვევაში, მოითხოვს ბიუჯეტის განხილვას. მთავრობა ერთ დღესაც არ დარჩებოდა თავის ადგილზე, დარწმუნებული რომ არ იყოს, რომ რეზოლიუციები კანონის ძალას მიიღებენ. მთავრობის აზრით, ლორდთა პალატა თავის ვეტოს უფლებით მეფის და დეპუტატთა პალატის უფლებებს არღვევდა, ამიტომ ლორდთა პალატას საბოლოოდ უნდა წაერთვას ეს უფლებაო.

## სპარსეთი

**თეირანი.** მეჯლისმა განიხილა პროექტი, რომლითაც სპარსეთის ქვეშევრდომს იჯარით უნდა მისცემოდა მეშედესერ-ბარფურუშის გზა და ამასთან უფლება უნდა ჰქონოდა რკინის გზა გაეყვანა. მეჯლისმა უკმაყოფილება გამოუცხადა სეპეხდარს და სერდარ-ასადს, რომელთაც აქნობამდის სისრულეში ვერ მოიყვანეს მეჯლისის დადგენილება ფიდაების იარაღის ჩამორთმევის შესახებ.

აქნობამდის დათვალიერებული შაჰის ძვირფასი ნივთები დააფასეს 20 მილიონ ფრანკად.

## რუსეთი

**სევასტოპოლი.** საზღვაო სასამართლომ განიხილა ჯავშნიან გემის „პანტელეიმონის“ კონდუქტორის, ზოლოტარევსკის და ბოცმანის ლიტვანოვის საქმე. ბრალდებოდათ ამავე ჯავშნიან გემის ფერშლის, გრიშჩენკოს წამება, რასაც ის მოჰყვა, რომ გრიშჩენკომ თავი მოიკლა. სასამართლომ ზოლოტარევსკის მიუსაჯა ხუთი თვით ციხე და ლიტვანოვს ხუთი თვე სატუსაღო. ამასთან სასამართლომ დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ ლიტვანოვს სასჯელი სამსახურიდან დათხოვნით შეეცვალოს.

**პეტერბურგი.** შეერთებულ თავად-აზნაურთა კრებამ მიიღო პურიშკევიჩის და მარკოვ მეორის რეზოლიუცია. რეზოლიუციაში ნათქვამია, კმარა რაც ებრაელებმა რუსეთის ხალხი ეკონომიურად და პოლიტიკურად დაიმონავეს. მთავრობამ ზომები უნდა მიიღოს, რომ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში ებრაელები კანონით დაწესებულ პროცენტზე მეტი არ მიიღონო. ეს რეზოლიუცია თავის მოხსენებაში დაიცვა თავადმა პანჩულიძევმა.

**ოდესა.** კუიალნიცკში იპოვეს მამონტის ჩონჩხის ნაწილები, წონით 3 ფუთი.

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოდ დასტოვა მწერალის, პეშეხონოვის საკასაციო საჩივარი. პეშეხონოვს წერილის დასტამბისთვის სასამართლო პალატამ ერთი წლით ციხე გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი.** შეერთებულ თავად-აზნაურთა კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ვიბორგის გუბერნია სატახტო ქალაქიდან 30 ვერსის მანძილზედ ძევს და ამ გუბერნიაში ფინლიანდიის სასამართლო, ადმინისტრაცია და კანონი მოქმედებს. ვიბორგის გუბერნიის ადმინისტრაცია და სასამართლო რუსეთის მთავრობას არ ემორჩილება, რაიც იმპერიისთვის პოლიტიკური, სტრატეგიული და ეკონომიური დაბრკოლებაა. ამას გარდა, ვიბორგის გუბერნია რევოლიუციონერების ბუდედ არის გადაქცეული და მთავრობის სხვა-და-სხვა ზომებს სწორედ ეს გუბერნია უწევს წინააღმდეგობას. სახელმწიფოს თვით-დაცვა მოითხოვს, რომ გვერდით ასეთი გუბერნია არა ჰქონდეს, ამიტომ შეერთებულ თავადაზნაურთა კრება საჭიროდ სთვლის მთავრობის ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებასო.

**ჰელსინგფორსი.** სეიმის პრეზიდიუმის წინადადებით, სეიმმა 28 მარტისთვის გადასდო მთავრობის იმ კანონ-პროექტის განხილვა, რომლითაც უნდა დაწესდეს წეს-რიგი ფინლიანდიის და რუსეთის საერთო კანონების გამოცემის შესახებ.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**✦ ცამეტი სოფლის საზოგადოების დაჯარიმება.** ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით, როგორც „კ. ლ“. გადმოგვცემს, ხუთას-ხუთასი მანეთით დაუჯარიმებიათ გურიის ცამეტი სოფლის საზოგადოება. აი, ეს საზოგადოებანი: დვაბზუისა, მიქელ-გაბრიელისა, შემოქმედისა, ლიხაურისა, ბასილეთისა, ერკეთისა, სურებისა, ნიგოითისა, ლანჩხუთისა, ძიმითისა, ჩოჩხათისა, აცანისა და ხვარბეთისა. ამათ აბრალებენ არა ლეგალურ კაცების დაფარვას.

**✦ ცეცხლი.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ზუგდიდში ცეცხლი ჩაუქრიათ. დამწვარა ქალაქის საუკეთესო ნაწილი.

**✦ დავა ადგილის შესახებ.** კახეთში, ალაზანს გაღმა, 30,000 დესეტინა ადგილია. ამ ადგილის გამო დავა ჰქონდათ თავ. ბებუროვაჩნაძეებს, ონანო-ვაჩნაძეებს, ედიშო-ვაჩნაძეებს და აბხაზებს. სადაო საქმე უკვე გაარჩია ტფ. სამოსამართლო პალატის გამიჯვნელ დეპარტამენტმა, მაგრამ განაჩენის გამოცხადება 10 აპრილისთვის გადასდო.

**✦ ეკლესიის კურთხევა.** ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის კურთხევა განზრახულია შემოდგომაზე. მანამდე ეკლესია დამთავრებული იქნება.

**ძველი ქართული ფული.** არქიმანდრიტმა ანტონმა დაათვალიერა გორის მაზრის მონასტრები—ქვათახევისა და სხვა. კავთისხევის ახლოს, იდლეთში არქიმანდრიტს უნახავს ქვის კუბო და 20 ქართული ფული ქრისტეს დაბადების წინა დროისა. ქვის კუბო ვიღაც სომეხს უყიდნია და წყლის აუზად გამოუყენებია. არქიმანდრიტ ანტონის განკარგულება მოუხდენია, რომ ქვის კუბო საეკლესიო მუზეუმში ჩამოიტანონ. ქართული ფულიც ტფილისში ჩამოიტანა და გადასცა ეპისკოპოს დავითს, საეკლესიო მუზეუმში შესანახავად.

**✦ მალაკნების შუამდგომლობა.** გუშინ მალაკნების წარმომადგენლებმა (6 კაცამდე) ქალაქის გამგეობაში შუამდგომლობა აღძრეს, რომ დამფასებელ კომისიაში იმათ წრიდან იქმნეს ვინმე არჩეული. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ სახლებისა და მამულების სწორედ დაფასებაშიო, სწერენ მალაკნები.

**✦ ვერის სასაფლაოს შესახებ.** ხმ. მ. ზ. ქანანოვმა შუამდგომლობა აღსძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, იღონოს რამე ვერის გაუქმებულ სასაფლაოს მოწესრიგებისათვის. ბ-ნი ქანანოვი სწერს, რომ ვერის სასაფლაო მეტად უპატრონოდ არის მიტოვებულიო. ქალაქის დებულების თანახმად, ხმოსანი თხოულობს წინადადება მიეცეს, ვისიც ჯერ არს, გაამაგრონ სასაფლაო და დაიცვან იქ სისუფთავე.

**✦ რკინის გზა კავკასიონის მთაზე.** როგორცა ვწერდით, 23 მარტს პეტერბურგში საბოლოოდ გადასწყვეტენ საკითხს რკინის გზის გაყვანის შესახებ კავკასიონის მთაზე ტფილისიდან კავკავამდე. ნავარაუდევია, რომ ამ გზას დასჭირდება 70 მილიონ მანეთამდე. ერთ ადგილას დიდი გვირაბი უნდა გათხარონ, სიგრძით ოცი ვერსამდე. მარტო ამას დასჭირდება ოცი მილიონ მანეთამდე.

**✦ მთავრობის მამასახლისების საქმე.** 16 მარტს ქ. გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ გაარჩია საქმე მთავრობის მიერ დანიშნულ ხცისის მამასახლისად ნამყოფ ხერხეულიძისა, რომელსაც სამსახურის დროს 60 მანეთის ქრთამის აღება და სხვა ბოროტ-მოქმედება ჰბრალდებოდა. სასამართლომ თავ. ხერხეულიძე დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ღირსების აყრა და ერთის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

**✦ სამუსიკო დილა.** ტფ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სკოლაში (საპერის ქ. № 18) დღეს, 21 მარტისათვის, დანიშნულია მოწაფეთა სამუსიკო დილა, მეორე ამ წელს. დასაწყისი შუადღის სრულ 12 საათზე.

**✦ სახლის გადაწვა.** 15 თებერვალს სოფ. ფლავში ვიღაცას ცეცხლი წაუკიდებია თავ. მაჩაბელ-რევაზის ძის ერისთავის სახლისთვის. სოფლის ყარაულებს საჩქაროდ გაუღვიძებია ხალხი, მაგრამ ვერაფერი უშველიათ, რადგან ამ ღამეს დიდი ქარი ყოფილა და სახლი სულ ერთიან გადამწვარა.

**✦ ჩაჩიაშვილის დაპატიმრება.** თებერვლის პირველ რიცხვებში დააპატიმრეს და გორის საპყრობილეში ჩასვეს გიორგი სადუნიშვილი. როგორც ეხლა გამოურკვევიათ, იგი გიორგი ჩაჩიაშვილი ყოფილა, რომელსაც გორის მაზრის და ქუთაისის პოლიცია ეძებდა და რომელსაც აუარებელ თავ-დასხმას და გაცარცვას აბრალებენ.

**✦ პოლიციელები სამართალში.** კავკასიის უმაღლეს მთავრობის ბრძანებით, სამართალში მიუციათ ტფ. პოლიციის „ოკოლოდოჩნიკებად“ ნამყოფნი პეტრე თეთრაძე და ალექსანდრე ბარისოვი.

**✦ ადმინისტრატიულების დაბრუნება.** ადმინისტრატიულის წესით პერმის გუბერნიაში გადასახლებულებს სიღნაღის მაზრის მცხოვრებთ სანდრო იმერლიშვილის, ლაზარე ნიკოლაშვილს და აბრია ბაზარაშვილს ნება დართეს დაბრუნდნენ კავკასიაში იმ პირობით, რომ ტფილისსა და ტფ. მაზრაში ცხოვრება არ შეეძლოთ.

**✦ ლექცია.** ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგელი ლიტერატორი და ლექტორი აბრამოვიჩი, რომელსაც განზრახვა აქვს რამდენიმე ლექცია წაიკითხოს. პირველ ლექციას „თვითმკვლელობაზე“ წაიკითხავს სამშაბათს, 23 მარტს.

**✦ დიდუბის სამკითხველო.** დიდუბის სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგემ ა. თუთაევმა შუამდგომლობა აღსძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ ქალაქმა დიდუბის ბიბლიოთეკას ყოველწლიურად დახმარება აღმოუჩინოს. გამგეობამ დაადგინა, შუამდგომლობა აღსძრას საბჭოს წინაშე, რომ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს 100 მანეთი მიეცეს.

**✦ ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს ხვალ, 22 მარტს, განსახილველად წარედგინება 15-მდე საქმე. საბჭომ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს მოხსენება მეოთხე საობლიგაციო სესხის განაღდების შესახებ.

**✦ ნებართვა.** „კასპის“ სიტყვით, ფინანსთა მინისტრს კოკოვცევს ტფ. ქალაქის თავისთვის შეუტყობინებია, თანახმა ვარ ქალაქმა სესხი საზღვარგარედ აიღოს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ 100 მანეთიანი ბილეთი 87 მანეთზედ ნაკლებ არ უნდა გასაღდესო. მინისტრის აზრით, ეს პირობა უსათუოდ უნდა იქნას შესრულებული, რადგან საჭიროა რუსეთის ქაღალდების ფასის დაცვაო.

**✦ დაპატიმრება.** 19 მარტს, საღამოს 8 საათზე, ტფ. პოლიციას გაუგია, რომ ვაკეზე ტფ. სასულიერო სემინარიის გაცარცვას აპირებენო. გაგზავნეს კაცები და შეიპყრეს სემინარიის შესავალში ერთი კაცი, ხოლო მეორე—სემინარიის შენობაში ეკონომიის კარების წინ. უცნობებს გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ ბებუთი და რევოლვერი. უცნობები აღმოჩნდნენ კავკაველი კონსტანტინე ტულუზოვი და პენზელი პავლე ლებედევი. დაპატიმრებულებმა განაცხადეს, ადგილის სათხოვნელად მოვედითო. სემინარიის კასისთვის ამ დღეს დიდი ფული მიიტანეს.

**✦ ყალბი ფულის მომჭრელთა დაპატიმრება.** 10 თებერვალს პოლიციას გაუგია, რომ ორი ქართველი, რომელიც თავიანთ თავს „კნიაზად“ აცხადებს დიდძალ ყალბ 100 მანეთიანებს ამზადებს და ასაღებსო. პოლიციას გაუგია აგრეთვე, რომ ერთს გიორგი ჰრქმევია, მეორეს—კონსტანტინე. მალე პოლიციას გამოურკვევია, რომ ერთი ყოფილა გიორგი მელიტონის

---

**ხმა ბარათაშვილისა** (აღელვებული).

რას ჰბოდავთ, ყრმანო,
რას ჩხავით ქალნო!
დღესვე გადასწყდეს...
უნდა გამართლდეს!

**ყველანი** (შიგნით).

ოსიკოსა დავუჯეროთ!
ტკბილს ჰანგებზე ჩვენც დავმღე- | როთ.
გავამართლოთ!
შევიბრალოთ.
სასტიკად ნუ მოვეპყრობით,
სული ჰხდება ქალს მონობით!

**ანას. ვახვახიშვილი და ან. ჯაფარიძე.** (წივიან).

ვაი, ვუი, საყვარელი!
გავამართლოთ ბედით კრული,
თორემ გულ-ახდილად ვიტყვით,
გასკდა გული შეხუთული!

**ხმა მარიამ წერეთლისა.**

არა გრცხვენიანთ, ამართლებთ ვისა?
სჩანს თანაუგრძნობთ მუხანათს, ღალატს!
თუ გაამართლებთ, ვფიცავ ალავერდს,
თავპირ დაგამტვრევთ, დაგიხევთ ხალათს!

**ხმა მაჩაბლიშვილისა.**

პროტესტს ვაცხადებ! ძირს მოღალა-
გაგილესით ორპოფი ენა; | ტე!
ვაჰ, იღუპები ბარო და მთაო!
ან თქვენ იქმნებით, ან კიდევ მენა!

გამოდიან. ზურაბიშვილს ცალ ხელში თეთრი ბაირაღი უჭირავს ნიშანი შერიგებისა და პატიებისა. განაჩენს კ. მაყაშვილს აძლევს.

**თავმჯ. ი. ზურაბიშვილი.**

სიდარბაისლით სახელგანთქმულო,
მამასახლისო, ყველგან ქებულო!
ჰა, წაიკითხე ეს განაჩენი,
აამეტყველე ეგ ენა შენი!

**კ. მაყაშვილი.**

რად გავაგრძელო, მე მოკლედ გე-
| ტყვით:
დამნაშავენი გავამართლევით;
ქრთამი აიღეს აქ მსაჯულებმა,
ვიცი, ამ ამბით გადაირევით.

საზოგადოებაში უკმაყოფილო ხმებია. ზურაბიშვილი თეთრ ბაირაღს აათრიალებს, რიხით სიმღერას დასძახებს, სხვები ბანს ეუბნებიან:

„გაუმარჯოს მოღალატეს,
ლევანსა და ქეთევანსა,
შევინდეთ და გავამართლეთ,
ყველგან მოვფენთ ამ ამბავსა“.

**ზოგიერთი ქალები.**

დაბერდა და აღარ მომწონს,
ვუღალატებ მეც ჩემს ქმარსა;
ვენაცვალე თქვენს სამართალს,
გულის მარილს, შეუმცდარსა!

**ზოგიერთი კაცები.**

ჩემსა ამხანაგს ცოლსა წავართმევ,
სჩანს, აღარ ფასობს აწ მეგობრობა;
თუ კი ვამართლებთ ხიმშიაშვილსა,
მეც ქნება მეტყვის შთამომავლობა.

**ზოგიერთები.**

ვიჯაშუშებ, ვუღალატებ,
თავს დავასხამ პოლიციას.
შევიყვარებ ერთსა ვისმეს
და დავღუპავ მთელს ნაციას!..

**ახალგაზრდობა.**

მართალს ამბობდნენ და დღეს
დავრწმუნდი:
რისი სამშობლო ან რის მამული?
სანინს ვადმერთებ მეც დღეის შემდეგ,
სიძვა ყოფილა ყველგან ქებული!

საზოგადოება აღშფოთებულია. ისმის ყვირილი. პარტერში ქალები და კაცები ერთმანეთს დაერევიან. კაპელდინერები აშველებენ. ზოგიერთები სცენაზე შეიჭრებიან. ზოგი ყვირის: „ხვალ ესენი უნდა გავასამართლოთო“.

ფარდა ნელ-ნელა ეშვება.

**გარდანქეშანი.**

ძე მეძმარიაშვილი, ქუთაისის მცხოვრები, რომელიც უადგილოდ იყო და სცხოვრებდა ელისაბედის ქუჩაზე, მეორე—კონსტანტინე სოფრომის ძე ჰუბაბრია. პოლიციის ცნობებით, ესენი მართლა დიდ ძალს ყალბ ფულს ეზიდებოდნენ საიდანღაც და ასაღებდნენ ქალაქის საყასბოში ყასბებს შორის. ბოლო დროს მათ მრავალი ყალბი 100 მანეთიანი ჩამოუტანიათ და და განუზრახავთ მათი გამოცვლა საგუბერნიო ხაზინაში. 20 მარტს აპირებდნენ ხაზინაში მისვლას. პოლიციამ დაასწრო და ელისაბედის ქუჩაზე მეძმარიაშვილის ბინას ალყა შემოარტყა პარასკევს, საღამოს 9 საათზე. ბინა ჩაკეტილი დაჰხვედრიათ. რადგან შიგნიდან კარი არ გაუღიათ, ძალით შესულან. ამ დროს მეძმარიაშვილს გაეღო ფანჯარა და მეორე სართულიდან ას მანეთიან ყალბ ფულს ქუჩაში ისროდა თურმე. იგი შეიპყრეს. იქვე დააპატიმრეს ჰუბაბრია. გაჩხრეკის დროს ნახეს 780 ცალი ას მანეთიანი ყალბი ფული, სულ 78,207 მან. მეძმარიაშვილი და ჰუბაბრია არ ამბობენ, სად ამზადებენ ეგოდენა ყალბ ფულს. შეუდგნენ გამოძიებას.

✦ ჭიათურის სამრეწველო საავადმყოფოში ტფილისიდან ქირურგად მოუწვევიათ ექ. სობოლევსკი (კ. დ.)

✦ ტფ. მედროგეები საქონლის მიდების მოლოდინში წინანდებურად. ტფ. საქონლის სადგურის ეზოში სდგანან ხოლმე. ამის გამო ეს ადგილი მუდამ სანიტარულ მდგომარეობაშია. საქონლის სადგურის უფროსი სწერს ქალაქის გამგეობას, სადგურის ეზოში მედროგეების დაყენება უთვლად შეუძლებელია, ამიტომ სადმე სხვაგან გაუჩინეთ ადგილი და ჩვენც დაგეხმარებით ამაშიო.

✦ ხმ. სარიანმა ხმოსნობას თავი დაანება.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ლომბარდის გამგეს ასლამაზოვის განცხადება, რომ ლომბარდის მოხელეებს ლომბარდის წლევანდელ მოგებიდან მიეცეთ საჩუქრად ორი თვის ჯამაგირის ოდენა ფული. გამგეობამ დაადგინა, შუამდგომლობა აღსძრას საბჭოს წინაშე, რომ ლომბარდის მოხელეებს ერთის თვის ჯამაგირის ოდენა ფული მიეცეს.

## კიდევ პარნაუთელების შესახებ

გუშინ გამოვგზავნე წერილი პარნაუთლების შესახებ. იმ წერილში ცნობებია მოყვანილი თავისუფალ ადგილების შესახებ. მაგრამ საჭიროა განმარტება, რომ „პარნაუთი" ანუ „კურნაუთი"*) მარტო იმ ადგილისაგან კი არ შესდგება, სადაც ყრილი მეგრელები ბინადრობდნენ. მთელ პარნაუთად წოდებულ ადგილში შედის გარდა, სადგომიწის, რომელიც სივრცით სულ 40-50 დესეტინა იქნება, შემდეგი ადგილები: 1. რთზინა, 5 ვერსის მანძილზე, 300-400 დესეტ. 2. ნოხირი, 7 ვერს. მანძილზე, 400 დეს., 3. შმაოი, 8 ვერს. მანძილზე, 200 დესეტ. 4. პატარა და დიდი ბახტარა, 9 ვერს. მანძილზე. 200-300 დეს., 5. ქაცუ, 10 ვერს. მანძილზე, 500 დესეტინა. სულ თვით „პარნაუთში" 1600-2300 დესეტინამდე თავისუფალი მიწაა. თუ გაიხსენებთ პირველ წერილიდან იმას, რომ უახლობელესი სოფელი, რუსებით დასახლებული, 9-10 ვერსით არის დაშორებული იმ ადგილს, სადაც მეგრელები იყვნენ დასახლებული, ნათლად დავინახავთ, რომ უფრო ადგილი და სამართლიანი იქნებოდა ამ მიწებით დაეკმაყოფილებინათ აწიოკებული 40 კომლი მეგრელი.

მთელი ამ დანგრევა-აწიოკების მიზეზი ერთად-ერთი მოხელეა, მიწის მზომელი, საპოჟნიკოვი. იმას ამ ორი სამი წლის წინად დავალებული ჰქონდა ახალშენებისათვის მიწის მიზომვა. კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენ კურთხეულ რუსეთში ყოველსავე საქმეს ხვეწნა-ვედრება მომადლი ერება უნდა. რაკი ადგილობრივად მისულ მიწის მზომლისაგან იყო დამოკიდებული მიწის ჩამოჭრა-მიზომვის საქმე, რა თქმა უნდა, ვისაც ესმოდა ამ ქვეყნის ყესწყობილების ამბავი იმან დროზე ისარგებლა შემთხვევით. ხოლო უვიცი, „მეჯოგე" მეგრელები დარჩნენ პირში ჩალაგამოვლებულნი. აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული!!

ნიკო თავდგირიძე.

*) ხახავილოა, რომ მოხელენი რომელიმე ადგილის სახელს გადააკეთებენ, გადაამახინჯებენ და მერე, თუ ნამდვილი სახელი იხმარეთ, ისეთი, როგორიც ადგილობრივ იხმარება, ხიცილს და წყრომას დაგიწყებენ: «თქვენ არ იცით თქვენი ადგილი, რაც ჩვენ წიგნებში სწერია, ის არის ჭეშმარიტებაო!»

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** პარასკევს, 19 მარტს, ახალგაზდა მსახიობმა ნინო კოლხიდელმა წარმოდგენა გამართა. განცხადებებიდან და აფიშებიდანაც ვიცოდით, რომ უნდა წარმოედგინათ ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული კომედია „პირველი ბუზი", ხოლო შემდეგ გამართულიყო საკონცერტო განყოფილება ბ-ნ ვ. სარაჯიშვილისა და სხვათა მონაწილეობით. „პირველი ბუზი" წარმოადგინეს. თუმცა უგულობა ეტყობოდა ზოგიერთ მთავარ როლის შემსრულებელს, მაგრამ წარმოდგენამ მაინც რიგიანად ჩაიარა. ხალხი ტაშს უკრავდა ვ. აბაშიძეს, გუნიას და ხან და ხან ნ. კოლხიდელსაც. წარმოდგენის გათავების შემდეგ ყველა საკონცერტო განყოფილების მოლოდინში იყო. ზოგს იმდენად სიმღერები არ აინტერესებდა, რამდენადაც დეკლამაცია იმხნელისა, ერისთავისა და სხვათა. ჯერ ისევ წარმოდგენის დაწყებამდე (წარმოდგენა გვიან დაიწყეს—9 ნახ. საათზე) მითქმა-მოთქმა იყო, ხალხი ცოტაა, სარაჯიშვილს არ უნდა ასე ცოტა ხალხის წინაშე გამოვიდეს და იმღეროსო; ზოგი კი ამბობდა, ფულს ამ თავითვე თხოულობს და კასსა კი ცარიელია, მაშასადამე, სარაჯიშვილის სიმღერას ვერ მოვისმენთო. ყველანი მაინც მოელოდნენ სიმღერასაც და დივერტისმენტსაც. მაგრამ უეცრად, წარმოდგენის გათავების ცოტა ხნის შემდეგ, სცენიდან გამოაცხადეს: „დივერტისმენტი აღარ იქნება და უკაცრავადო. გამოირკვა, რომ სარაჯიშვილს უარი ეთქვა მონაწილეობაზე, რაკი წინ-და-წინვე ფული ვერ მისცეს. ყველა შესწუხდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ არავინ წარმოდგენის ინიციატორს, ქ-ნ კოლხიდელს არ ემდურებოდა: ხალხი მეტად ცოტა დაესწრო წარმოდგენას, გამმართველს საკმაო ფული არა ჰქონდა, რომ გარიგებული ფასი, 60 მანეთი წინდაწინვე მიეცა ბ-ნ სარაჯიშვილისათვის. აი, ამიტომ სარაჯიშვილმაც ხასიათის ჩვეულებრივი „სიმტკიცე" გამოიჩინა და უფულოდ ფეხი არ გამოდგა სცენაზე. ადვილი წარმოსადგენია, რა გულით ითამაშებდა ქ-ნი კოლხიდელი. საზოგადოება მოიწვია, წარმოდგენა გამართა, განსაზღვრულ პროგრამის შესრულებას დაჰპირდა და სარაჯიშვილის წასვლით-კი განახევრდა ეს პროგრამა. ქ-ნი კოლხიდელი დაიმედებული იყო ფული შემოვიდოდა, ბილეთები ხელზე იყო დარიგებული და მოთამაშეთაც გაუსწორდებოდა, მაგრამ საზოგადოება არ მოვიდა, არ დაესწრო წარმოდგენას. კასაში ფული არ იყო. თვით სარაჯიშვილმაც ვერა შეჰმატა რა შემოსავალს. ბევრსა ჰგონია, ვითომ საკმაოა აფიშაში გამოაცხადო ბ-ნ სარაჯიშვილის სახელი, რომ კასსა ფულით აივსოს. პირველ ხანებში, როდესაც სარაჯიშვილი ახალი ხილი იყო, საზოგადოება მართლაც მიდიოდა თეატრში ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, როგორც ქართველს ჩვენი საზოგადოება მხარს უჭერდა. ეხლა-კი ყველას გული გაუტყდა.

როდესაც სცენიდან გამოაცხადეს, რომ დივერტისმენტი აღარ იქნება და სახლში წაბრძანდითო, ყველამ დამნაშავედ სარაჯიშვილი ჩასთვალა. შეიძლება სთქვან, რომ სარაჯიშვილის საქმე სიმღერაა, იმითი სცხოვრობს და მაშ უფულოდ როგორ შეუძლიან იმღეროსო. კარგი, მაგრამ განა შეიძლება ასე სასტიკი იყოს კაცი, როდესაც ჰხედავ, რომ ამხანაგი გაჭირვებაშია და შენი დახმარება ესაჭიროება! განა კოლხიდელი და სარაჯიშვილი ერთსა და იმავე ხელოვნებას არ ემსახურებიან? და განა ამხანაგების გულისთვის არ შეიძლებოდა ხელის გაწვდენა? მაგრამ ჩვენ ყოველთვის ასე ვიცით. ცოტაოდენ სახელს მოვიპოვებთ თუ არა, თავს მაღლა ავწევთ და არავის არაფრად ვაგდებთ. ბ-ნი სარაჯიშვილი რუსეთში მღეროდა. გაზეთებს თვალ-ყურს ვადევნებთ, მაგრამ ორი ტკბილი და ქების სიტყვა არ წაგვიკითხავს იმაზე. აქ-კი სულ სხვა იყო—იმის გულისათვის ჩვენი საზოგადოება თავ-პირს იმტვრევდა. აბა ახლა ჩვენი გაზეთები გადაათვალიერეთ, მერე რათა? განა ბ-ნ სარაჯიშვილისთვინა მომღერალი ერთი და ორი გვინახავს ტფილისში, რომ თავ-პირი ას დაგვიმტვრევია? ვიმეორებთ, ქართველი საზოგადოება მხარს უჭერდა სარაჯიშვილს, როგორც ქართველს, და ესწრებოდა იმის მონაწილეობით გამართულ ოპერა-საღამოებს. იმანკი არც ერთხელ არ ინება და, მაგალითად, წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ საღამოში არა თუ უსასყიდლოდ მონაწილეობა არ მიიღო, ათ თუმანს მანეთიც არ დაუკლო. ამას წინად კონცერტი გაიმართა ამ საზოგადოების სასარგებლოდ. შემოსავალი იმდენად მცირე იყო, რომ საზოგადოებამ თავისი ათი თუმანი დაადო, სარაჯიშვილმა-კი არხეინად ჩაიჩხრიალა სწორედ ათი თუმანი.

ასე ესმით ჩვენში მოვალეობა საზოგადოებისა და თავის ქვეყნის წინაშე..

ს.

## წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ, ბ-ნო რედაქტორო! თქვენის პატივცემულის გაზეთის მე 59 №-ში დაბეჭდილი სტუდენტ სტიპენდიანტების ტელეგრამმა, გამოგზავნილი ოდესიდან, რომლითაც ისინი აბრალებენ ქუთაისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს, რომ სტიპენდიებს თავ-თავის დროზე არა ჰგზავნისო. ჭეშმარიტების აღსადგენად გთხოვთ შემდეგის განმარტების დაბეჭდვის უარი არ მითხრათ:

ფული თავ.-აზნაურობის სტიპენდიატებს ეგზავნებათ მაშინ, თუ რომ საკრებულოს ამა ფულის კრედიტი ექნება გახსნილი ადგილობრივ ხაზინაში. წლის იანვრისა და თებერვლისთვის საჭირო კრედიტი გაუხსნეს საკრებულოს მხოლოდ 22 თებერვალს, რაც ხაზინამ იმავე დღეს აცნობა საკრებულოს № 1580-ით. თავ.-აზნაურობის საზოგადო კრების სხდომათა მუშაობის გამო საკრებულომ ფულის გამოტანა ვერ შესძლო ოთხ მარტამდის და ამის გამო რაც სტიპენდიანტებს ამა წლის ორი თვის ფული ერგებოდათ, ოთხს და ხუთს მარტს გაეგზავნათ. რაიცა შეეხება სტიპენდიების დარიგებას მარტისა და შემდეგის თვეებისათვის, საკრებულოს ეჭვი აქვს, რომ ეს ახლო მომავალში ასრულდეს, რადგან სამოსწავლო ოლქის მზრუნველი გვატყობინებს, რომ თქვენთვის გასახსნელი მარტისა და აპრილის კრედიტი ხაზინაში, მედავახურგინეო, და ეს ცხადათ სჩანს მზრუნველის წერილიდან საკრებულოს სახელზე (10 მარტ. № 5688), რომელშიაც ნათქვამია: „მაქვს პატივი გაცნობთ თქვენს ბრწყინვალებას, რომ აღნიშნული ჩემს წერილში (5 მარტ. № 4917) კრედიტი, რიცხვით 3,333 მანეთის, გაიხსნება მარტისთვის შემდეგს თვეებში, რასაც თქვენ თავ-თავის დროზე შეგატყობინებთ".

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **თავადი წერეთელი.**


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხიფილავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—67)

**ხუთი მანეთი** საჩუქარი იმას, ვინც კნეინა დადიანს, მეჯევოის ქ., № 30, მიუტანს შავ საფულეს, რომელიც დაიკარგა უთუოდ ერევნის მოედანზე და ლორის-მელიქოვის ქუჩაზე. საფულის საიდუმლო განყოფილებაში ნიშნობის ბეჭედია. (2-1047-2)

!! **შემთხვევით** !!
ძრიელ იაფად იყიდება მიწა ვერაზე, 200 ოთხ-კუთხი საჟენი, ღირებული 25 მან. საჟენი, მხოლოდ იყიდება 10 მანეთად საჟენი.
პირობის გაგება შეიძლება გასტრონომიულ მაღაზიაში მიხაილოის ქუჩ. ქავქანიძის სახლებში, № 36.
(1—202—1)

**ქუთაისში**
◀ **კიწმარაშვილის** და ამხ. ▶
**თესლეულობის მაღაზიაში** მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნებათ. (25—კვ.—12)

**იყიდება** იაფად მიწის ნაჭერი, 292 ოთხ. საჟ. (ფასადი 16 საჟენი) მუშტაიდის ქუჩაზე, საბალოსნო სკოლის პირდაპირ. ნაჭერი შეიძლება ორად გაიყოს. აქვე ჩერდება ტრამვაი. იკითხეთ: გრიბოედოვის ქ., 30, მ რეჯენივ შუაზარა. (5—1043—5)

**ექიმი** ვ. ღამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** დ. ახვლედიანი იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გრიბოედოვის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

# იყიდება

მამული 485 დესიატინა სახნავი და ტყე 6000 მანეთის ბანკის ვალით, რომელიც შეადგენს განსაკუთრებულ ნაწილს, გამიჯნულს „შეჯევის" წესით და თავისუფალს ყოველივე ლავისაგან. ეს მამული სალი ჰავით, კარგი სააგარაკო ადგილებით, კარგი წყაროებით და პატარა მდინარით ხევში, მდებარეობს 5 ვერსის მანძილზე წილკნის სადგურიდან, საქართველოს სამხედრო საფოსტო გზისა, და 18 ვერსის მანძილზე რკინის გზის მცხეთის სადგურიდან. იგი შეადგენს 200 დეს. მაღ, ურწყავს, სახნავ მიწებს და 285 დეს ტყეს. ფასზე შეიძლება იკითხონ ტფილისში, რეუტოვის ქუჩაზე, სახლში № 35, სახლის პატრონთან. (3—189—1)

## ღვინოს და სპირტის საწყობი
და
## არაყ-ლიკორის ქარხანა
◀ სავაჭრო სახლისა ▶
# „ძმ. სესიევები და ამხ."
ტფილისში

ურჩევს ყველას ახალ საშუალებით საუკეთესოდ დაწმენდილს
**პურის არაყს № 101 და № 50.**
**რკინის გზისას,**
**ღვინის და კახურ არაყს,**
**და ლიკორებს,**
რომლებიც ხასიათით საუკეთესოა კავკასიაში და რომლებმაც სიკარგისათვის მიიღეს
**2 დიდი ოქროს მედალი და უმაღლესის ჯილდო**
„GRAND PRIX"-ი, პარიზის გამოფენაზე 1909 წ. (10—გ.—1)



Тифлисская Городская
БИРЖА ТРУДА
Верійскій спускъ, тел 178

ურჩევთ ყველას,
მიიღონ
ინტელიგენტი მომუშავენი,
**ხელზე მოსამსახურე და**
# ყველა
◀ **პროფესიის მუშები** ▶
რჩევისათვის ვიღებთ 20 კაპ. მხოლოდ დამქირავებელთაგან.
კანტორა ღიაა დილის 9 საათ. საღამოს 6 საათამდე. კვირაობით და უქმე დღეებში შუადღის 12 საათამდე. (5—გაყ.—4)

# მთავარი მოგებანი:
◀ **75,000, 40,000, 20,000, 15,000, 10,000 და სხვა** ▶

მთავრობის ფულის ლატარია, რომელიც ხუთ-კლასად არის გაყოფილი და მოხდება ვარშავის სახელმწიფო ბანკში.

**ლატარიის გამგეობა პირდაპირ** კერძო პირებზე ბილეთებს არა ჰყიდის, ბილეთებს ჰყიდიან რწმუნებული კოლექტორები. ფოსტის ხარჯი და სატირაჟო ცხრილების დაგზავნა საბანკირო სახლის ხარჯით.

მოგება იძლევა დაუყოვნებლივ ბილეთის წარდგენის დღეს.

**ტირაჟი მოგებათა:**
3, 26 და 27 მარტს 1910 წ.
4, 26 და 27 აპრილს 1910 წ.

**ფასები მე-3 ან მე-4 კლასში მონაწილეობისთვის:**
(სხვა კლასის მოგებაში მონაწილეობის მიუღებლად)
ა) მოგების დროს ბილეთის ფასის გამოკლებით: მთელი ბილეთი 8 მანეთი, 1/2 ბილეთი 4 მანეთი, მეოთხედი ბილეთი 2 მანეთი.
ბ) მოგების დროს ბილეთის ფასის გამოუკლებლივ: მთელი ბილეთი 12 მანეთი, 1/2 ბილეთი 6 მანეთი, 1/4 ბილეთი 3 მან.
1/10 ათ მთელ ბილეთში . . . 12 მან. — „
1/20 „ „ . . . . 6 მან. — „
**პაები 3, 4 და 5 კლასზე:**
1/5 ნაწილი ბილ. 18 მან. — კ.
1/10 „ „ 10 მან. — „
1/20 „ „ 4 მან. 50 „
შეიძლება ნაწილ-ნაწილად: ნახევარი მეკვ. დროს, ნახევ. აპრილში.

# Л. В. ЛАНДАУ и К°.

საბანკირო სახლი
Варшава, Братская 18.

ადრესი დეპეშებისთვის:
„Варшава Ландаубанкъ"

(Д. и Э. Метцль и К°. N 20,118). 4—6.—4)

# სანერგე ამერიკულ ვაზისა
„კლდ-ეგურული" ქუთაისში.
● **უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში** ●
1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.
**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**
აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—33)

## სამანუფაქტურო მაღაზია
# ა. ი. ამირალოვისა
**თამამშევის ქარვასლაში №№ 19, 20, 22 და 23.**
აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ არა ჩვეულებრივი სიიაფეა საქონლისა:

**სიურა**—არშინი 35 კაპ.
**ატლასი**—10/16 ვერ. 25 კ. არ.
**ატლასი**—11/16 ვერ. 45 კ. არ.
**ფლორენტინი**—35 კაპ. არშ.
**რალამე**—48 კაპ. არშინი.
**ბურსო**—70 კაპ. არშინი.

**სატინა მერველიე** 1 მან. არშ.
**სატინა მერ სანჟი**—70 კ. არშ.
**ფაია ფრანგული** სახიან. 1 მ.
**მანჩესტერი**—40 კაპ. არშ.
„ სახიანი—50 კაპ. არშ.
**ხავერდი**—რომელიც წინად 1 მან. 60 კაპ. ფასობდა, ეხლა 70 კაპ. არშ.

**შალის საქონელი მოსკოვის ფაბრიკებისა** 1 1/2 არშინის სიგანისა 30% დაკლებით იყიდება. **ვუალი** მატყლისა სახიანი 60 კაპ. არშ. **საზღვარ-გარეთისა** საზაფხულო, რომელიც წინად 1 მ. 65 კ. იყიდებოდა არშინი, ეხლა 60 კაპ.

**ავეჯეულობის პლუში** ხარისხი B. 2 მ. და 2 მ. 20 კ. ხარისხი Б. 2 მ. 75 კ. არშინი. ხარისხი A. 3 მან. არშინი.
**ავეჯეულობის ატლასი** ხარისხი II. 26 ვერ. 1 მ. 30 კ. ხარისხი I. „ „ 2 მ. 25 კ.
**ავეჯეულობის „ბახრომა"** 10 კაპ. და 18 კაპ. არშ.

**ბახრომა** ბადით—1 მან. 20 კ. არშ.
**აბრეშუმის პლუში** 10 1/2 ვერ. 1 მ. 20 კ.
„ „ 14 ვერშ. 1 მ. 70 კ.

# ფასები შეუდარებლად. (5—178—5)